საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

სხდომა

ოქმი N 01

დ. ლენტეხი

13 თებერვალი 2024 წ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

დასწრების ფურცელი

დ. ლენტეხი 13 თებერვალი 2024 წ.

1.კომისიის თავმჯდომარე: /ლამზირა გუგავა/

წევრი: /მევლუდ ლიპარტელიანი/

წევრი: /დავით პირველი/

წევრი: /მარეხი ონიანი/

წევრი: /გოგა შავრეშიანი/

წევრი: /ირაკლი ქურასბედიანი/

კომისიის თავმჯდომარე: /ლ. გუგავა/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

სხდომა N01

დღის წესრიგი

დ .ლენტეხი 13/03/2022წ.

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის განაწილების თაობაზე.

2.ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის განაწილების თაობაზე. 1.ა(ა)იპ-ირების გეგმა-პროგრამების განხილვა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე: /ლ.გუგავა/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N1

2024 წლის 13 თებერვალს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, კომისიის წევრები; საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი, მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი, ფრაქცია „ქართული- ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ირაკლი ქურასბედიანი, ფრაქცია „მოქალაქეები საქართველოსთვის" თავმჯდომარე გოგა შავრეშიანი. მოწვეული სტუმრები სასპორტო გაერთიანების ხელმძღვანელი ზაქრო ხვისტანი და ო. ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური ცენტრის ხელმძღვანელი ელდარი ლიპარტელიანი.

დღის წესრიგი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა) იურდიული პირის ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური ცენტრის 2024 წლის გეგმა- პროგრამის განხილვა.

/მომხ. კომისიის თავმჯდომარე ლ. გუგავა/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო იურდიული პირის სასპორტო სკოლების გაერთიანების 2024 წლის- გეგმა პროგრამის განხილვა.

/მომხ. კომისიის თავმჯდომარე ლ. გუგავა/

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში საბიუჯეტო მუხლებს შორის თანხის განაწილება.

/მომხ. კომისიის თავმჯდომარე ლ. გუგავა/

1. **მოისმინეს:** საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარუდგინა ა(ა)ი პირების 2024 წლის გეგმა - პროგრამები, რომელიც წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. აღინიშნა რომ 2024 წელს გათვალისწინებულია დასაქმებულთა ანაზღაურების 10%-იანი ზრდა. კომისიამ იმსჯელა მათ ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებზე და გადაწყვიტეს:

აღნიშნული გეგმა-პროგრამები გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. **მოისმინეს**: საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ კომისიის წევრებს გააცნო საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის განაწილების თაობაზე. კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს თანხა სარეზერვო ფონდიდან გადატანილი იქნას სტიქიური მოვლენების (ხანძრის) შედეგად დაზარალებულთა დახმარების მუხლში იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მიმდინარე თებერვლის თვეში დიდთოვლობის პერიოდში ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარიშში მთლიანად დაიწვა თორნიკე ლიპარტელიანის საცხოვრებელი სახლი. უგზოობის გამო სახანძრო მანქანამაც ვერ მოახერხა ადგილზე მისვლა და დადგა სავალალო შედეგი. ეს საკითხი განხილული იქნა სამხარეო რწმუნებულის დონეზე და მიღებულია გადაწყვეტილება, გამონაკლისის სახით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დავეხმაროთ ამ ოჯახს .

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის განაწილების თაობაზე გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის სხდომა დასრულდა 13-საათზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: /ლ.გუგავა/